ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

17 (10055) 5 maisi • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

შინაგან საქმეთა მინისტრმა ოზურგეთში საპატრულო პოლიციის ახალი შენობა გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ ქალაქ ოზურგეთში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი შენობა გახსნა.

დღეიდან გურიის რეგიონს 11 საპატრულო ეკიპაჟი მოემსახურება – ქალაქ ოზურგეთსა და მის გარეუბნებს 6, ხოლო სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის მაგისტრალზე, კერძოდ, სამტრედია-ოზურგეთის და სამტრედია-ჩაქვის მონაკვეთებზე – 5 ეკიპაჟი. აღსანიშნავია, რომ გურიის რეგიონს დღემდე აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 4 ეკიპაჟი ემსახურებოდა. ოზურგეთში ახალი სამმართველოს გახსნა საპატრულო პოლიციას მთლიანი რეგიონის მომსახურებაში შეუწყობს ხელს.

საპატრულო პოლიციის ორსართულიანი, ახალი შენობა თანამედროვე ავეჯითა და ტექნიკითაა აღჭურვილი. ახალ შენობაში საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახური, ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, სამართალდარღვევათა და ანალიზის ჯგუფი და სხვა სამსახურები განთავსდა.

ადგილობრივი ხელისუფლებიდან გახსნის ცერემონიალს, მხოლოდ გურიის გუბერნატორის პირველი მოადგილე მერაბ ჭანუყვაძე ესწრებოდა.

იმავე დღეს დაბა ურეკში დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის განკუთვნილი ახალი შენობა გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტების და უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი შენობა შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ და შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ ტომარაძემ გახსნეს.

2007 წლიდან გრიგოლეთის, ურეკის და შეკვეთილის მოსახლეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფი ემსახურება. დაბა ურეკში დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის განკუთვნილი ახალი შენობა სამართალდამცველების სწრაფ მოქმედებას და ეფექტურობას გააუმჯობესებს.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ტურისტულ ზონაში დაცვის პოლიციის ტექნიკური საშუალებებით დაცულია 50-მდე აგარაკი, სავაჭრო ობიექტი და სასტუმრო. ტურისტული სეზონის დაწყებისთვის დაცვის პოლიცია დაცული ობიექტების რაოდენობის ზრდას ელოდება, რასაც ახალი შენობით, ახალი ოპერატიული ავტომობილით, თანამშრომელთა განახლებული უნიფორმებით და ტექნიკური აღჭურვილობით ხვდება. შავი ზღვისპირა რეგიონში, ურეკის გარდა, აჭარის რეგიონულ სამმართველოს 5 ერთეული ახალი ავტომობილი „შკოდა ოქტავია“ გადაეცა.

„ჩვენი დროის გმირნი ანუ ნაცმოდიფიცირებული პროდუქტები ოზურგეთისთვის!“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მარინა სუნგულიამ პარტიის დატოვების შესახებ ჟურნალისტებთან განცხადება გააკეთა.

ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ ბეგლარ სიორიძე სუნგულიას განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს.

▶▶▶ გვ-2

შოთა გოგიბერიძე ქ. ოზურგეთის მერობისათვის ბრძოლას აგრძელებს

როგორც ცნობილია, „ქართული ოცნებიდან“ ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად ბიზნესმენი ბეგლარ სიორიძე დასახელდა. თუმცა ვრცელდება ხმები, რომ მერობისათვის ბრძოლას „ეროვნული ფორუმის“ ადგილობრივი ლიდერი შოთა გოგიბერიძეც აგრძლებს. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად მას ვესაუბრეთ.

–ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მიუხედავად კოალიციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, თქვენ აპირებთ მინც იყაროთ კენჭი ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად...

– ჩემი განწყობა კვლავ საბრძოლოა. მე, იმ ადამიანმა, რომელმაც 2011 წლიდან „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის სახელით ვებრძოდი უსამართლობას, იმედს ვაძლევდი ოზურგეთელ ამომრჩეველს, ავიღე უამრავი ვალდებულება ოზურგეთის მოსახლეობის წინაშე. კოალიციის გადაწყვეტილების გამო, არ მეძლევა ბერკეტი, ჩემს გუნდთან ერთად დავიწყო ამ დაპირებების რეალიზება.

მე გავაკეთებ ყველაფერს და უკვე მიმდინარეობს შესაბამისი კონსულტაციები სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან და გაერთიანებებთან, რათა არსებული საარჩევნო კანონის შესაბამისად მოხდეს ჩემი დარეგისტრირება ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად, რაც ძალიან მალე დასრულდება. სავარაუდოდ რამდენიმე დღეში ამის შესახებ ცნობილი გახდება. მე აუცილებლად ჩავატარებ საინფორმაციო ღონისძიებას ბრიფინგს ან პრესკონფერენციას და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ყველა ოზურგეთელი იქნება ინფორმირებული.

გასულ კვირაში ქ. ოზურგეთში ორი საბავშვო ბაღი გაიხსნა

გასულ კვირაში მუშაობა განახლდა კაპიტალურად გარემონტებულ ანასეულის და ქ. ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღებში. ორთავე ბაღში სარემონტო სამუშაოები ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შესრულდა. გარდა სარემონტო სამუშაოებისა, აღნიშნულ ბაღებს გადაეცათ ახალი ინვენტარი.

ქ. ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სპეციალური პროგრამით შეხვდნენ სტუმრებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე შარაშენიძის თქმით, მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საბავშვო ბაღების თანამედროვე სტანდარტების დონეზე გადაყვანა წარმოადგენს. ამის მაგალითია ეს ბაღებიც. ბავშვს ყველაფერი უნდა ჰქონდეს.

ანასეულის ბაღში ამჟამად ორი ჯგუფი მუშაობს, ხოლო ქ. ოზურგეთის №1 საბავშვო ბაღში ექვსი.

კონსტანტინე შარაშენიძემ ისიც განაცხადა, რომ

უახლოეს დღეებში ქ. ოზურგეთში კიდევ ერთი გარემონტებული საბავშვო ბაღი შევა ექსპლოატაციაში. ქალქის ორთავე ბაღს კეთილმოწყობილი ეზოებიც ექნებათ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

5 მაისი	6 მაისი	7 მაისი	8 მაისი	9 მაისი	10 მაისი	11 მაისი
მზე +18+29	მზე, +14+25	მზე, ღრუბელი +16+21	მზე, ღრუბელი +20+27	მზე, ღრუბელი +19+30	წვიმა +15+22	წვიმა +15+22
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

„ჩვენი დროის გმირნი ანუ ნაცმოდიფიცირებული პროდუქტები ოზურგეთისთვის!“

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ კოალიცია „ქართული ოცნებიდან„ წარსადგენი მაჟორიტარების, მერების და გამგებლების კანდიდატურების შერჩევისას კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებების მიღების ცენტრად თბილისი იქცა. კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერებს არ მიეცათ შესაძლებლობა ურთიერთკონსულტაციების საფუძველზე, კონსენსუსის გზით, თავად მიეღოთ გადაწყვეტილებები და შეეჯერებინათ კანდიდატები მათი პოლიტიკური წონის, წარსულის, კვალიფიკაციისა და უნარჩვევების გათვალისწინებით. მათ მაგიერ თბილისში გადაწყვეტილებებს იღებდნენ ადამიანები, რომელთაც არა სრული, არასათანადო ინფორმაცია ჰქონდათ თითოულ კანდიდატზე. მეტიც ამ დროს მავანს უჩნდებოდა შანსი პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლების გვერდის ავლით, ცენტრში მოეპოვებინა მხარდაჭერა. ეს ყველაფერი თავიდანვე უშვებდა შეცდომებისა და შედეგად, მომავალში დაპირისპირებების წარმოშობის ალბათობას. ეს იყო არასწორი, არაჯანსაღი ტექნოლოგია, რომელიც მოიტანდა ასევე არაჯანსაღ და არასწორ შედეგებს . მითუმეტეს, როცა ეს ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დაწყების გაპიარების ფონზე, რომლის მთავარი ამოცანა სწორედ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილზე გადაწყვეტა, ადგილობრივი პოლიტელიტის ჩამოყალიბება, მათთვის მეტი უფლებების მინიჭება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დაკისრებაა. ეს მოთხოვნები და საკრებულოებში, მერებად და გამგებლებად კანდიდატთა შერჩევისას ცენტრის მიერ ზედმეტი უფლებების მითვისება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტია. ვთვლიდით, რომ ჩვენ ამ წესის წინააღმდეგ უნდა გვებრძოლა და არ დაგვეშვა თავსმოხვეული, არასასურველი რეალობა. ეს იყო ჩვენი პრინციპული პოზიცია. შევეცადეთ კიდეც, თუმცა ვერ მოვახერხეთ, რაც გახდა „რესპუბლიკური პარტიიდან“ წლების განმავლობაში რაიონული ორგანიზაციის კომპიტეტის თავმჯდომარის ტიფო მიქატაძის წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. სამწუხაროდ, ის მართალი აღმოჩნდა! პარტიის სხვა წევრები ჯერ კიდევ ვინარჩუნდებდით იმედს, რომ შევძლებდით დაწყებული „პოლიტიკური ვაჭრობიდან“უკეთესი სურათის მიღებას. ნაწილობრივ ეს მოხერხდა კიდეც ჩვენი ხმაურის შედეგად - კოალიციის ამჟამად დამტკიცებული მაჟორიტარების სია გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს იყო პირველადი კონსულტაციებისას, სადაც მოჭარბებულად იყვნენ „ნაციონალირი მოძრაობის“ აქტივისტები. თუმცა არასასიამოვნო სიურპრიზი გველოდა ქ.ოზურგეთის მერის შერჩევის შედეგად. მიუხედავად იმისა ,რომ არ ვეთანხმებოდით კოალიციაში მიღებულ წესს, მერებისა და გამგებლების პარტია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ მიერ სრულად დაკომპლექტების შესახებ, პროტესტი არ გამოგვითქვამს - იმედი გვქონდა, რომ ეს პარტია ოზურგეთის მერობის კანდიდატად დაასახელებდა პიროვნებას, რომელსაც არ ექნებოდა „ნაციონალური“ წარსული, პირიქით, გამორჩეული იქნებოდა ბოლო წლებში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პრინციპულად განსხვავებული პოზიციების საჯარო გამოხატვით, გამორჩეული თავისი წესიერებით, ზნეობითა და უნარჩვევებით. ამ შემთხვევაში შევძლებდით თანამშრომლობას და სიამოვნებით ავიღებდით მასთან ერთად პასუხისმგებლობას ქალაქის ბედზე. სამწუხაროდ მივიღეთ რადიკალურად განსხვავებული რეალობა. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატად დაასახელა ბეგი სიორიძე. გარდა იმისა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ვერცერთ კრიტერიუმს, აქვს კიდევ ერთი სერიოზული ნეგატივი - მისი წარდგინებით საქმე გვაქვს რაიონში პოლიტიკურ მოედანზე გადაწყვეტილების მიმღებთა ჯერჯერობით არაფორმალური ჯგუფის, მოთამაშის ჩამოყალიბების პროცესთან კოალიციაში შემავალი პარტიული სუბიექტების მაქსიმალურად შევიწროებისა და „მოედნიდან გაძევების“ ფონზე. საგანგაშოა ის, რომ ამ ჯგუფთან ასოცირდებიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში „მოქალაქეთა კავშირიდან“ დღემდე იყვნენ ადგილობრივი „თაბაგრები“ და ყველა იმ უმსგავსოებათა ავტორები, რაც ვითარდებოდა ჩვენს ირგვლივ. ისინი დღეს უკვე „ქართული ოცნების“ სახელითა და ხელდასმით ცდილობენ მოიპოვონ ლეგიტიმაცია და კვლავ შეზღუდონ, ხელი შეუშალონ საზოგადოების, მოქალაქეთა სხვა ჯგუფების ჩართულობასა და მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება იმას, რისთვისაც თავის დროზე მოვედი პოლიტიკაში, რასაც ვემსახურებოდი - მეტ დემოკრატიას, მეტ გახსნილობას, მეტ ჩართულობას, არა კლანურობას და ერთი ჯგუფის მმართველობის დამკვიდრებას. მიუხედავად იმისა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტთა უდიდესი ნაწილი, პარტიის ადგილობრივი ლიდერებიც ჩემსავით ფიქრობენ, სამწუხაროდ ისინი ჯერჯერობით ვერ ახერხებენ საჯაროდ საკუთარი შეხედულებების დაფიქსირებას. სიჩუმისა და შემგუებლობის პოზიციიდან არ ვიქნები მართალი საკუთარ თავთან, ვერ დავფარავ სათქმელს, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ იქნებ, თავიდან ავიცილოთ თანამდევი,მოსალოდნელი შედეგები. გული მწყდება, რომ რესპუბლიკური პარტია ვერ, ან არ შეეწინააღმდეგა გადაწყვეტილებების მიღების ამ წესს და წარმოდგენილ კანდიდატურას, ვერ ან არ შეძლო პრინციპული პოზიციებისა და ჩვენი ინტერესების დაცვა. თუ რატომ, ამაზე ჩემი მოსაზრებები მაქვს, თუმცა ამჟამად ეს არ არის საუბრის თემა. ფაქტია, რომ ჩვენი ხედვები, დამოკიდებულებები გაიყო და მე იძულებული ვარ დავემშვიდობო პარტიას. მე ვერ დავუჭერ მხარს ბეგი სიორიძეს. როგორც რიგითი მოქალაქე, დაველოდები ოზურგეთის საზოგადოების დამოკიდებულებას მის მიმართ. საინტერესოა, ოზურგეთი, რომელმაც ბოლო ორი არჩევნებისას უჩვენა დემოკრატიულობის ყველაზე მაღალი ხარისხი და „ანტინაციონალური„, „ანტიმიშისტური“ შედეგი, მიიღებს თუ არა ამჟამად„ ქართული ოცნებით“ შეფუთულ „ნაციონალურ“ პროდუქტს. ბედნიერი ვიქნები თუ კვლავ მომეცემა შესაძლებლობა დავინახო ჩემი ქალაქის სიფხიზლე, სიჯანსაღე და მოთხოვნილება დემოკრატიაზე. –

გაზეთი „ალიონი“ „ქართული ოცნებიდან“ქ. ოზურგეთის მერობის კანდიდატს ბეგი სიორიძეს დაუპავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ მარინა სუნგულიას აბსურდულ გამონათქვამებზე კომენტარს არ გააკეთებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ა ნ გ ა რ ი შ ი

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 დეკემბრის 40 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10000,0 ათ.ლარით.

1 იანვრის მდგომარეობით, ბიუჯეტში განხორციელდა 8 ცვლილება:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 იანვრის 1 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 412,3 ათ.ლარით (2013 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის შემოსულობებში ასახვა) და შეადგინა 10412,3 ათ.ლარი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 მარტის 8 დადგენილებით ბიუჯეტში არსებული რეზერვები შემცირდა 450,0 ათ.ლარით, მ/შ

ა) სარეზერვო ფონდი 150,0 ათ.ლარით

ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა 65,0 ათ.ლარით

გ) კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 85,0 ათ.ლარით

დ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა 150,0 ათ.ლარით.

გამოთავისუფლებული თანხა 450,0 ათ.ლარი გადატანილი იქნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2013 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრა 10412,3 ათ.ლარით.

3, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 11 აპრილის №9 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 420,9 ათ.ლარით, მათ შორის საქართვლოს მთავრობის 28 მარტის №298 განკარგულებით 194,4 ათ.ლარი და 4 აპრილის №311 განკარგულებით 226,5 ათ.ლარი მიღებული ტრანსფერიდან დაფინანსდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

4, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 22 აპრილის №10 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 825,0 ათ.ლარით, მ/შ:

1) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის №321 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 450,0 ათ.ლარი.

2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 26 დეკემბრის №221 განკარგულებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №59 განკარგულების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 375,0 ათ.ლარი, მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის.

5, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 ივნისის №16 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 1384,5 ათ.ლარით, აღნიშნული ტრანსფერიდან დაფინანსდება სოფლის მზარდაჭერის პროგრამა.

6, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 აგვისტოს №21 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 10770,8 ათ.ლარით, მათ შორის:

ა) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 აგვისტოს №1105 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 9494,8 ათ.ლარი.

ბ) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს №1052 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 1174,4 ათ.ლარი.

გ) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №1099 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 96,6 ათ.ლარი.

აღნიშნულიდან დაფინანსდეს:

ა) გაიზარდოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ღონისძიებების დაფინანსება 1179,4 ათ.ლარით.

ბ) გაიზარდოს სკოლამდელი განთლების დაფინანსება (საქრთველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რომლის მიხედვითაც გაუქმდა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახადის ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღების სასწავლო - აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის) – 96,6 ათ.ლარი.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 ნოემბრის №25 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 4076,2 ათ.ლარით, მათ შორის:

ა) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 6 სექტემბრის №1235 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 2276,2 ათ.ლარი.

ბ) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ოქტომბრის №1499 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 1800,0 ათ.ლარი.

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 დეკემბრის №26 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 133,0 ათ.ლარით, მათ შორის შემოსავლის ნაწილში:

ა) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 101,0 ათ.ლარი

ბ) ჯარიმები,სანქციები და საურავები - 23,0 ათ.ლარი

აღნიშნული თანხით დაფინანსება გაიზარდათ:

ა) ა(ა)ი.პ. სერვისცენტრი - 101,0 ათ.ლარით

ბ) ა(ა)ი.პ. საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“ – 22,0 ათ.ლარით

გ) შ.პ.ს. საცხენოსნო კლუბი მარულა - 6,0 ათ.ლარით

დ) ა(ა) ი.პ. სოფლის მეუნეობის განვითარების ცენტრი - 2,2 ათ.ლარით

წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 28 022,5 ათ.ლარი:

1) გადასახადები - 1828,7 ათ.ლარი
2) ტრანსფერი - 24 759,7 ათ.ლარი
3) სხვა შემოსავლები - 921,8 ათ.ლარი
4) არაფინანსური აქტივების კლება - 100,0 ათ.ლარი
5) შემოსავალი ნაშთიდან - 412,3 ათ.ლარი.

მესამე საგაზაფხულო გამოფენა გურიაში

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ - სურათების გალერეის დარბაზმა გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის (თავმჯდომარე თამაზ დარჩია) ორგანიზებით გამართულ მესამე საგაზაფხულო გამოფენას უმასპინძლა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გურიის რეგიონის 31 მხატვრის ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი ნამუშევრები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, თექა, თაფლის სანთელი... საზოგადოება მხატვართა იმ სულიერი ხედვის მხილველი გახდა, რაც ამ უახლოეს პერიოდში შეიქმნა და მათ შემოქმედებას შეემატა. ნამუშევრების დიდი ნაწილი ბიბლიური და საღდგომო თემატიკითაა გაჯერებული. უფროს მხატვრებთან ერთად გამოფენაში მონაწილეობდა ახალგაზრდა მხატვარი ნინო გორდელაძე.

გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ, მხატვრებმა ავთანდილ თავართქილაძემ, მზია კვინტრაძემ, თამაზ დარჩიამ, კულტურის სამსახურის უფროსმა მაია თანდილაშვილმა

– ეს გამოფენა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სამი მხატვრის, ხათუნა ხუბულავას, იური წივწივაძის და ზაზა ჭანიშვილის დებიუტი შედგა, – აღნიშნა ლია ურუშაძემ. ასევე წარმოდგენილი იყო გარდაცვლილი მხატვრის ჯემალ მიმინოშვილის ნამუშევრები, რისი იდეაც თამაზ დარჩიას ეკუთვნის. აღინიშნა, რომ გარდაცვლილ მხატვართა ხსოვნის პატივსაცემად, ყოველ გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი თითო გარდაცვლილი მხატვრის ნამუშევრები. გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს.

გაზეთ „ალიონს“ სურსათის ეროვნული სააგენტო პასუხობს:

სოციალური ქსელებით გავრცელებული იყო ინფორმაცია რეგიონში ბრუცელოზის გავრცელების შესახებ. მოქალაქეები რედაქციას ატყობინებდნენ, თუ რომელ უბნებში იყო უფრო მძიმე მდგომარეობა და ასევე მათ წუხილს, ქ. ოზურგეთში ყველის და რძის სხვა პროდუქტებით გარევაჭრობის შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

გაზეთმა დასახელებულ თემებზე სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობას მიმართა.

“თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2013 წელს გურიის რეგიონში დაფიქსირდა ბრუცელოზის 21 შემთხვევა. ვეტერინალურ-სანიტარული წესების მიხედვით, ბრუცელოზის გამოვლენის შემთხვევაში ცხოველი ექვემდებარება დაკვლას. შესაბამისად, დაავადებული ცხოველი დაიკლა, დამუშავდა ყველა სადგომი და მიმდებარე ტერიტორია სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით, კორსოლინ ფფ“-ით. ადგილი ჰქონდა დაავადებების გამოვლენას სოფლებში: ნაგომარი, ნატანები, სურები, ნიგვზიანი.

2014 წელს დაფიქსირდა დაავადების 9 შემთხვევა. დაიკლა ყველა დაავადებული ცხოველი, დამუშავდა სადგომი და მიმდებარე ტერიტორია. დაავადება გამოვლინდა ვაკიჯვარში, ნატანებში, სურებში.

პროფილაქტიკის მიზნით, სურსათის

გვ-4

მეწარმეთა საყურადღებოდ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა იწყებს **2014 წლის** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებას.

გთხოვთ, აღნიშნულ სამუშაოებში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით მომართოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი საბუთები:

1. პირადობის მოწმობის ასლი.
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
3. საბანკო რეკვიზიტები (ანგარიშის ნომერი).
4. ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის შესახებ.
5. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ერთიან ელექტრონულ ბაზაში დღგ-ს გადამხდელთა რეგისტრაციის შესახებ).
6. კვალიფიკაცია (მეწარმის მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები).

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კანცელარიაში I სართულზე, შაბათ-კვირის გარდა, **10.00-18.00** საათამდე.

დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურს.**

მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა №1

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ქ. ოზურგეთში, რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები და მოსაზრებები ოზურგეთის ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

დადგენილების მიღების ვადაა **2014 წლის 21 მაისი.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შემოსულობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 27 223,5 ათ.ლარი, წლიური გეგმის 97,1%-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 28 022,5 ათ.ლარი, (იხ.დანართი №2)

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 101,3 %-ით (გეგმა 2850,5 ათ.ლარი, შესრულება 2887,5 ათ.ლარი), მათ შორის

– საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა 89,5 %-ით (წლიური გეგმა 919,0 ათ.ლარი შესრულება 822,8 ათ.ლარი)

– ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 113,5% (გეგმა 81,0 ათ.ლარი შესრულება 92,0 ათ.ლარი)

– სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 179,7 %-ით.(წლიური გეგმა 114,0 ათ.ლარი შესრულება 204,9 ათ.ლარი)

– არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 89,0 %-ით.(წლიური გეგმა 714,7 ათ.ლარი შესრულება 636,5 ათ.ლარი)

– მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 120,0 %-ით(წლიური გეგმა 240,0 ათ.ლარი,შესრულება 269,0 ათ.ლარი)

– შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 93,8 %-ით(წლიური გეგემა 60,0 ათ.ლარი, შესრულება 56,3 ათ.ლარი)

– სათამაშო ბიზნესის მოსაკრბლის გეგმა შესრულებულია 67,5 %-ით (წლიური გეგმა 200,0 ათ.ლარი, შესრულება 135,0 ათ.ლარი)

– მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 190,0 %-ით (გეგმა 15,0 ათ.ლარი შესრულება 28,5 ათ.ლარი)

– მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 134,7 %-ით(გეგმა 90,0 ათ.ლარი შესრულება 121,3 ათ.ლარი)

– სხვა არასაგადასახადო შემოსავლებიდან 308,0 %-ით (გეგმა 15,0 ათ.ლარი შესრულება 46,2 ათ.ლარი)

– შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 134,2 %-ით (წლიური გეგმა 223,0 ათ.ლარი,შესრულება 299,3 ათ.ალრი)

– არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 62,0 %-ით (წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი,შესრულება 62,0 ათ.ლარი)

– დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები 124,5 %-ით (წლის გეგმა 78,8 ათ.ლარი,შესრულება 98,1 ათ.ლარი)

2013 წლის განმავლობაში მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 23 923,7 ათ.ლარი, მათ შორის:

ა) გათანაბრებითი ტრანსფერი – 7057,5 ათ.ლარი
ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 225,0 ათ.ლარი
გ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 14916,3 ათ.ლარი
დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 1725,0 ათ.ლარი

გადასახდელები (ხარჯები)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა დაზუსტების შემდეგ შეადგენს 28 022,5 ათ.ლარს (იხ.დანართი 3). საკასო ხარჯებმა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 22 093,4 ათ.ლარი წლიური გეგმის 78,8 %, მათ შორის:

– წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 98,0 % (გეგმა 3517,9 ათ.ლარი და შესრულება 3450,4 ათ.ლარი)

– სახანძრო-სამაშველო სამსახურის ხარჯებმა შეადგინა 91,4% (წლირი გეგმა 282,6 ათ,ლარი, შესრულება 255,6 ათ.ლარი)

– თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 93,2 % (წლიური გეგმა 145,5 ათ.ლარი ფაქტიური შესრულება 135,7 ათ.ლარი)

– ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 69,1 % (წლიური გეგმა 18535,9 ათ.ლარი ფაქტიური შესრულება 12815,8 ათ.ლარი

– საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 100% (წლიური გეგმა 1622,7 ათ.ლარი ფაქტიური შესრულება 1622,5 ათ.ლარი)

– სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 98,6 % (წლიური გეგმა 2492,7 ათ.ლარი ფაქტიური შესრულება 2458,9 ათ.ლარი)

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 95,0 % (წლიური გეგმა 1425,2 ათ.ლარი ფაქტიური შესრულება 1354,5 ათ.ლარი)

– 2013 წელში სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 190,7 ათ.ლარი (დანართი №4)

- 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშსწორების ანგარიშზე ირიცხება 5127,4 ათ.ლარი

საფინანსო-საბიუჯეტი სამსახური უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:

ა.ბერიძე

გაზეთ „ალიონს“ სურსათის ეროვნული სააგენტო პასუხობს:

ეროვნულ სააგენტოს დაგეგმილი აქვს სერომონიტორინგის ჩატარება ყველა სოფელში (ეს არის სისხლის ნიმუშების კვლევა). ბრუცელოზზე სხვა პროფილაქტიკის პრაქტიკა მსოფლიოში არ არსებობს.

რაც შეეხება გარევაჭრობას, ეს გახლავთ სამართალდარღვევა, ანუ გარევაჭრობა აკრძალულია და რეაგირება სამართალდამცავების პრეროგატივაა. მოსახლეობის ინფორმირებას რაც შეეხება, ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ქუჩაში არ შეიძინოს სურსათი. მოწამვლის, ან დაავადების შემთხვევაში მომხმარებელი დაუცველი აღმოჩნდება. საუკეთესო გამოსავალია, არ შეიძინოს, მით უმეტეს მაღალი რისკის სურსათი გარევაჭრობის ადგილებში!“

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო.“

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ოზურგეთის საველე სადგურის უფროსის ზურაბ ფხალაძის თქმით, წელს ბრუცელოზის შემთხვევებმა იკლო, თუმცა ფაქტები ფიქსირდება. მოსახლეობაც პასიურობს. ისინი იმ შემთხვევაში აკითხავენ ლაბორატორიას, როცა პრობლემა აქვთ.

გაზეთ „ალიონის“ინფორმაციით, ბრუცელოზის შემთხვევები მუნიციპალიტეტის მთისძირა სოფლებში (შემოქმედი, ცხემლისხიდი, ვაკიჯვარი, ბახვი) დაფიქსირდა.

„მერცხალმა“ ფინიშზე მდგომარეობა გამოასწორა

ნუგზარ ასათიანი

გუშინ, ბოლოსწინა ტურში ოზურგეთის „მერცხალი“ თერჯოლის „საპოვნელას“ შეხვდა.

ორი ტურის წინ კი „მერცხალს“14 ქულა ჰქონდა და სატურნირო ცხრილში თელავის „კახეთთან“ერთად მე-12 მე-13 ადგილს იყოფდა. მაგრამ „მერცხალმა“ ბოლო ორ შეხვედრაში ქულების მაქსიმუმი (6 ქულა) მოიპოვა და 20 ქულით (6 მოგება,2 ფრე,14 წაგება,ბურთები შეფარდება 23-48) მე-9 ადგილზე გადაინაცვლა.

ზონის გათამაშების ლიდერთან, ქობულეთის „შუქურასთან“საშინაო მატჩში მართალია თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ (24 წუთზე გოლი გიორგი ჩელებაძემ გაიტანა), მაგრამ 61-ე წუთზე ზაზა ხურციძემ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 75-ე წუთზე ქუთაისელი არბიტრის, კოკა ჭაჭუას მიერ სტუმართა კარში დანიშნული 11-მეტრიანი ნიკოლოზ ხინთიბიძემ უნაკლოდ შეასრულა–2:1.

ეს მატჩი 97 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა და „მერცხალმა“ შესძლო მისი გამარჯვებამდე მიყვანა.

30 აპრილს „მერცხალი“ ხარაგოულში ჩავიდა. ძმების სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის „ ჩხერიმელას“სტადიონზე საინტერესო მატჩის მოწმენი გავხდით. ეს იყო უხვგოლიანი მატჩი, სადაც მსჯეს, გორელ ხვიჩა გაგნიძეს არცერთი გუნდის ფეხბურთელისთვის ყვითელი ბარათის ამოღება არ დასჭირვებია.

„ჩხერიმელა“ ძირითადად ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და საკმაოდ კარგად გამოდის ამ ჩემპიონატზე.

ანგარიში 25-ე წუთზე სტუმრებმა (ჩიგოგიძე) გახსნეს. ამის შემდეგ პირველი გოლის ავტორს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, თუმცა სტუმრების შეცდომებით კარგად ისარგებლეს მასპინძლებმა და 27-ე და 28-ე წუთებზე ზედიზედ ორი გოლი (ჭიკაიძე, ხარაბაძე) გაიტანეს სტუმრების კარში. 2:1 დაწინაურდა „ჩხერიმელა.“

37-ე წუთზე სერგო ჩიგოგიძემ რამდენიმე საგოლე მომენტიდან ერთი გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა–2:2.

მეორე ტაიმის 52-ე წუთზე გიორგი ვაშაკიძემ „მერცხალი“ დაწინაურა, 3:2, რასაც 8 წუთის შემდეგ დავით პეტავას საპასუხო გოლი მოჰყვა 3:3.

გამარჯვების გოლი ვაშაკიძემ გაიტანა და 4:3, გაიმარჯვა „მერცხალმა.“

–„მერცხალი“ ასეთივე უშედავათო ბრძოლას გამართავს 4 მაისს, საშინაო მატჩში თერჯოლის „საპოვნელასთან“. ჩვენ დასახულ მიზანს მივაღწევთ –გვითხრა შეხვედრის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ხარიტონ ჩხატარაშვილმა. თერჯოლელებმა იმ დღეს „კახეთი“ დაამარცხეს 2:1 და 40 ქულით მე-5 ადგილზე იმყოფებოდნენ.

მართლაც „მერცხალმა“პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა და შეძლო „საპოვნელას“დამარცხება 4:2.

პირველი გოლი ნიკოლოზ ხინთიბიძემ გაიტანა,რასაც სტუმრების საპასუხო გოლი მოჰყვა. შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ 4:1 (გოლები ზოიძე, ხინთიბიძე, ჩიგოგიძე).

მატჩის მიწურულს ოზურგეთელებმა ხელით ითამაშეს და პენალტი თერჯოლელმა დიმა არეშიძემ დაარტყა. 4: 2 ასე დაფიქსირდა საბოლოო ანგარიში და „მერცხალმა“ 23 ქულა დააგროვა.

არასპორტული საქციელისთვის პირველი ტაიმის მიწურულს ოზურგეთელი ირაკლი ბაჯელიძე და თერჯოლელი ფეხბურთელი მსაჯმა ირაკლი კვირიკაშვილმა მოედნიდან გაძევა.

თუ რომელ ადგილს დაიკავებს „მერცხალი“ (სავარაუდოდ VIII-X ადგილი) ამას ბოლო ტურის შედეგები გვიჩვენებს.

ბოლო მატჩს „მერცხალი“ სტუმრად „ალგეთთან“ გამართავს.

ხსოვნის ტურნირზე

12 მოჭადრაკე მონაწილეობდა ტურნირში, რომელიც ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში გაიმართა.

რეზო ჭყონია, გრიგოლ კალანდარიშვილი, თამაზ სალუქვაძე, ვაჟა ჭანუყვაძე, შარშან ტრაგიკულად დაღუპული თორნიკე ხვედელიძე და კიდევ არაერთ გარდაცვლილ მოჭადრაკეთა ხსოვნას მიეძღვნა ეს ტურნირი.

ძირითადი ბრძოლა მაინც ახალგაზრდულ ჯგუფში, გურიის ჩემპიონებსა და ვიცე-ჩემპიონს (მინდია ჩხიკვიშვილი, დათო ცეცხლაძე, გიორგი გოგოლაური) გაიმართა. გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა ოზურგეთის ჩემპიონს ელგუჯა ურუშაძესაც, მაგრამ ბოლო ტურში მინდია ჩხიკვიშვილთან წააგო და IV ადგილზე გავიდა.

საბოლოოდ, ტურნირის გამარჯვებული მინდია ჩხიკვიშვილი გახდა–9,5 ქულა; II-III ადგილებზე 9-9 ქულით დავით ცეცხლაძე და გიორგი გოგოლაური გავიდნენ.

გამარჯვებულს და პრიზიორებს გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ შესაბამისი ხარისხის დიპლომები და პრიზები გადასცა

ბაქოში, „ალიევის გრან-პრიგე“

ქ. ბაქოში ჩატარდა „ალიევის გრან-პრი“, საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის. მონაწილეობდნენ აზეირბაიჯანის, თურქეთის, უნგრეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ფინეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი, აქედან ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა, „ლიხაურის ფილიალის“მოჭიდავეებმა მოიპოვეს 3 მედალი.

120 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა სამუკა დარჩიამ; 42 და 54 კგ. წონით კატეგორიებში III ადგილები დაიკავეს ირაკლი ძიმისტარიშვილმა და რომან ლომაძემ. (მწვრთნელი ალ. ბოლქვაძე).

ნიკუშა მახარაძის გახსენება

ნიკა,
ნიკუშა!

ექვსი წლის წინათ ამ სახელის მიღმა სიცოცხლით სავსე მშვენიერი ვაჟკაცი იდგა, დედ-მამის, ოჯახის იმედი და მომავალი, თავადაც ვაჟკაცების მამა, კარგი მეუღლე, მოსიყვარულე მამა, უებრო ბიძა.

დაბადების დღეს გილოცავთ შვილო! 45 წლის ვაჟკაცო... წლებმა უშენობა კი არ შეგვიმსუბუქა, პირიქით, აუტანელი გახადა. შენი არყოფნა ჩვენი მძიმე ტვირთია, ძნელად სატარებელი.

დღე ღამედ იქცა. 6 წლის მწუხარეა შენი ოჯახი. უნუგეშო დედა, გლოვით სულშეძრული მამა, მწუხარებაში მყოფი მეუღლე... და კვალი ნათელი, რაც შენგან დაგვრჩა– შენი ობლები ბათურა და საბა! საბა 10 წლისაა, მამა ენატრება, ხშირად თვალცრემლიანია.

2 მაისს 45 წლის გახდებოდი. უფალმა ინება, იქ, ზეციურ სასუფეველში იზეიმო ვაჟკაცური ასაკი.

ახლაც მოვედით შენს მარადიულ სამყოფელთან, შენს სამარეს ჩავეხუტები. იქნებ ახლა მაინც მაგრძნობინო ძველებურად უსიტყვოდ გამხელილი სიყვარული, ამ დღეს ხომ შენი ამქვეყნად მოვლენის დღეა.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ნიკუშა!

შენი **ოჯახი.**

შოთა შავიშვილი



40 ტკივილიანი დღე გავიდა უშენოდ ჩვენო ძვირფასო მეგობარო. ცრემლითა და დარდით ვიგონებთ შენთან ერთად გატარებულ ყოველ წუთს. ნაადრევად დაგვტოვე და ყველას დიდი სიცარიელე დაგვიტოვე სულში: ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს. ვერასოდეს წარმოვიდგენდით, თუ ასე ძნელი იქნებოდა უშენოდ ცხოვრება. შენ ხომ დიდებული მეგობარი, მამა და ადამიანი იყავი.

ბედნიერებაა შენნაირი ერთგული და საიმედო მეგობრის გვერდით ცხოვრება, მისი იმედი სირთულეებით აღსავსე ცხოვრების გზაზე, ხოლო დაკარგვა ის დიდი სიცარიელეა, რასაც ვერაფერი შეავსებს.

ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს და მსუბუქი ყოფილიყოს შენზე დაყრილი მიწა.

რობერტ გოთუა.

მზია (ინდირა) გუნთაიშვილი

კვლავ მოვიდა შენი დაბადების დღე-5 მაისი. როგორ გიყვარდა ვარდობის თვე, მაგრამ ახლა ცივ სამარეში ხვდები 45-ე დაბადების დღეს.

ლაითურის საშუალო სკოლაში სწავლობდი. 1986 წლის გამოშვება იყავი. შემდეგ საბუღალტრო აღრიცხვისა და საბიუჯეტო კურსები დაამთავრე, შემდეგ– გონიოს შოთა ფუტკარაძის სახელობის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

შენი სამუშაო ბიოგრაფია მედიცინის მუშაკთა სახლთანაა დაკავშირებული. დირექტორის მოადგილედ მუშაობდი და შენი სპეციალობით მუშაობისთვის ემზადებოდი.

არაა ცხოვრება ისე მოწყობილი, როგორც გეგმავ. ჯერ შენი და ხათუნა 35 წლის ასაკში გარდაიცვალა, შემდეგ კი შენც დაგვტოვე. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ეზიარე და ისე წარდექი უფლის სამსჯავროს წინაშე.

მე კი ისღა დამრჩენია, თქვენს საფლავებს ვუპატრონი სანამ პირში სული მიდგას და სანთლები დაგინთოთ.

ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროთ.

შენი **დედა.**

იყიდება
ახალი ხის სახლი 10X12, ალუმინის სახურავით.
ფასი შეთანხმებით.
დაგვიკავშირდით
(591) 91 77 16.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე